პროლეტარეებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

14 ივნისი, სამშაბათი, 1988 წ.
№ 115 (9782) ● ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

ევროპის ჩემპიონატი

ევროპის ჩემპიონატი ფეხბურთში, სსრ კავშირისა და ჰოლანდიის ნაკრები ჯუნდების 12 ივნისის მატჩი. საბჭოთა ფეხბურთელმა ვ. რაცამ კარგად გამოიყენა ი. ბელანოვის გადაცემა და ზუსტად გაგზავნა ბურთი ჰოლანდიელთა კარში. საბჭოთა ფეხბურთელებმა დამსახურებულ გამარჯვებას მიაღწიეს ძლიერ მეტოქესთან შეხვედრაში — 1:0.

საკდეს-საქინფორმის ტელეფოტო.

იხ. მე-3 გვ.

ნინო სალუქვაძემ კვლავ გვასახელა

შარშან, დაახლოებით ამავე დროს, ზედიზედ მივიღეთ სასიხარულო და პირდაპირ გასაოცარი ცნობები: ნინო სალუქვაძემ საბჭოთა კავშირის ჩემპიონატში ოთხივე დისციპლინაში გაიმარჯვა. ასეთივე ცნობას ველოდით მოსკოვიდან, სადაც მიტიშჩის ოლიმპიურ სასროლეთზე ქვეყნის უძლიერესი სნაიპერები ასპარეზობენ. პირველ ვარჯიშში, მცირეკალიბრიანი პისტოლეტით სროლაში, ნინო ახლოს იყო მიზანთან, მხოლოდ ფინალურ სერიაში ჩამორჩა მსოფლიოს მრავალგზის ჩემპიონს მარინა დობრანჩევას და მეორე ადგილი დაიკავა.

პნევმატური პისტოლეტით შეჯიბრებაში კი ქვეყნის შარშანდელი ჩემპიონი მართლაც ჩემპიონურად გამოდიოდა და იმედი გადაუწურა ყველა მეტოქეს. ქართველი მსროლელის შედეგია 489,7 (ფინალში—100,7). ამ ეტაპზე, ოლიმპიადის წინ, ნინო სალუქვაძის წარმატებას მართლაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს.

ᲐᲠᲘᲡ ᲘᲓᲔᲐ!

„მსოფლიო ფეხბურთი“ თბილისში

ფეხბურთზე ბევრი მხატვრული, დოკუმენტური თუ სატელევიზიო ფილმია შექმნილი სხვადასხვა ქვეყანაში. რატომ არ შეიძლება ჩატარდეს სპორტული ფილმების მსოფლიო ფესტივალი ოთხ წელიწადში ერთხელ, მსოფლიოს ჩემპიონატის წელს? ეს იდეა გაუჩნდა რეჟისორ ალექსანდრე ეღენტს, რომელმაც საკმაოდ დასაბუთებული წერილობითი თხოვნით მიმართა საქართველოს კინემატოგრაფისტთა სამდივნოს ამ ფესტივალის თბილისში ჩატარების შესახებ. სამდივნოს სხდომამ, რომელსაც საქართველოს სპორტსახკომის პასუხისმგებელი მუშაკებიც ესწრებოდნენ, მოიწონა ეს წინადადება, გადაწყდა შეიქმნას სამუშაო ჯგუფი, რომელიც დაადგენს მსოფლიოში ფეხბურთზე შექმნილი სპორტული ფილმების სრულ სიას, რასაც კონკრეტულ წინადადებებთან ერთად სამდივნო ერთ-ერთ უახლოეს სხდომაზე განიხილავს.

ᲔᲚᲕᲐ-ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲐ

ლენინგრადში მიმდინარეობს სსრ კავშირის ღია ჩემპიონატი და საერთაშორისო ტურნირი თანამედროვე ხუთჭიდში. სამი სახეობის შემდეგ (ფარიკაობა, ცხენოსნობა, ცურვა) ლიდერობს თბილისელი იაგორაშვილი. ლენინგრადელ იუფეროვს 3296 ქულა აქვს, ჯერჯერობით მესამე ადგილზე მიდის გერასიმოვიჩი (ბელორუსია) — 3268.

+1 ზეიმი საქაშეთში

ვარიანის საბჭოთა მეურნეობის ხალხმრავალ სოფელ საქაშეთს ამიერიდან საკუთარი სპორტული კომპლექსი ექნება. ამ კეთილმოწყობილ სპორტულ ბაზას აქვს ფეხბურთის, ფრენბურთისა და კალათბურთის მოედნები, ღია საჭიდაო სარბიელი. კვირას საქაშეთელთა ახალი სპორტული კომპლექსი, რომელიც მეურნეობის ძალებით მოეწყო, სახეიმოდ გაიხსნა.

ᲧᲝᲕᲔᲚ ᲮᲐᲛᲨᲐᲑᲐᲗᲡ...

რამ გაგახარათ, რამ დაგწყვიტათ გული?

6-12 ᲘᲕᲜᲘᲡᲘ

რესპუბლიკის სპორტსმენთა წარმატებები — რომელ სახეობაში და რომელ ასაკშიც უნდა იყოს მოპოვებული გამარჯვება, ერთნაირად ახარებს ჩვენს ხალხს. გასული კვირის მანძილზე უწყვეტ ნაკადად მოდიოდა მისალოცი წერილები და დეპეშები ჩვენი ველოსიპედისტების მისამართით. როგორც ვიუწყებოდით, ჭაბუკთა მეორე საკავშირო სპორტული თამაშები ველოსპორტით დაიწყო და დაიწყო იგი ჩვენს რესპუბლიკაში გაშართული ასპარეზობით. გუნდურ და პირად პირველობაში თამაშების ჩემპიონები ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლები გახდნენ.

კიდევ ერთი სიხარული მოგვიტანეს ჩვენმა მოჭადრაკეებმა ნინო გურიელმა და ზურაბ აზმაიფარაშვილმა, რომლებიც უძლიერესნი იყვნენ კუბაში კაპაბლანკას 100 წლისთავისადმი მიძღვნილ საჭადრაკო ფესტივალზე. ამასთან, აზმაიფარაშვილი ქართველ დიდოსტატთა ოჯახის წევრი გახდა. ბულგარეთის ტრადიციულ საჭადრაკო ფესტივალზე I-IV ადგილი გაიყო ნათია წკეპლაძემ.

ახლოვდება სეულის ოლიმპიადა. ქართული სპორტის გულშემატკივრები ახლა გაფაციცებით ადევნებენ თვალყურს ყველა შეჯიბრებას, სადაც ოლიმპიადის საგზურები ნაწილდება. კვლავ გაგვახარა ახალი წარმატებით წყალში მხტომელმა გიორგი ჩოგოვაძემ. იგი პირველი იყო თვით სეულში გამართულ ოლიმპიურ კვირეულზე. ოლიმპიადისწინა ერთ-ერთ მნიშვნელოვან შეჯიბრებაზე იუგოსლავიის ქალაქ ოსიეკში თავის სპორტულ მონაპოვარს, ოთხი მედალი შემატა (ორი მეორე და ორი მესამე ადგილი) ჩვენმა შესანიშნავმა ტყვიის მსროლელმა თამაზ იმნაიშვილმა.

კვლავ და კვლავ მოდის წერილები, როლებშიც ფეხბურთის მოყვარულები გულისტკივილს გამოთქვამენ თბილისის „დინამოში“ შექმნილი კრიზისის გამო. მკითხველთა და ფეხბურთის მოყვარულთა აბსოლუტური უმრავლესობა ულოცავს დავით-უიფიანს გუნდის მთავარ მწვრთნელად არჩევას. გულშემატკივრები იმედს გამოთქვამენ, რომ „დინამოში“ მდგომარეობა მალე გამოსწორდება. აქვე დავძენთ, რომ მადლობის ბევრი წერილი მივიღეთ გ. ზონინის მისამართით.

მკითხველი კარგად ერკვევა სპორტის ცალკეულ სახეობებში შექმნილ სიტუაციებში. ჩვენს გაზეთში გამოქვეყნდა წერილი ჭაბუკ წყალბურთელთა ნაკრებზე სათაურით „პერსპექტიული გუნდის პრობლემები“ და უმალვე შემოგვეხმიანა რამდენიმე გულშემატკივარი. მათი აზრით, გუნდში არც ისეთი სახურველი ატმოსფეროა, როგორც ამას მწვრთნელები აცხადებენ ჟურნალისტთან საუბარში, პრობლემები მართლაც არის, მაგრამ — სხვა სახისაც, რაზეც გუნდის ხელმძღვანელები ან დუმან, ან ფაქტებს ალამაზებენ. გუნდის შემადგენლობას გადახედვა სჭირდება. მშობლები ისევ ახდენენ ზეგავლენას მწვრთნელებზე, რომლებიც, სხვათა შორის, იმდენს ვერ იცლიან ნაკრები გუნდისთვის, რამდენიც საჭიროა — ასეთია მათი აზრი. „ლელო“ ამ საკითხს ისევ დაუბრუნდება.

ᲑᲐᲡᲣᲚᲘ კვირის მოვლენებზე რედაქციას გამოეხმაურნენ: ლ. ბარბაქაძე, მ. გვასალია, მ. მენაბდე (თბილისი), გ. მიქიაშვილი (ქუთაისი), ლაგოდეხის № 88 პროფტექნიკური სასწავლებლის მოსწავლეთა კოლექტივი, თ. ბიჩიაშვილი (ჭიათურა), ფ. ჭიქინაშვილი (ქარელი), მ. კურტანიძე (ზესტაფონი), რ. ბერიძე, ა. ცინცაძე, ო. გაფანაძე, ნ. ფარტენაძე (ქედა) და სხვები.

ᲛᲘᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔᲝᲑᲡ ᲪᲣᲠᲕᲘᲡ ᲙᲕᲘᲠᲔᲣᲚᲘ

„ნეპტუნის ზეიმი“

ᲪᲣᲠᲕᲘᲡ კვირეულის დღეებში ფართოდ გაუღეს აუზის კარი ცისფერი ბილიკების მოყვარულთ ჩარხსამშენებლო საწარმოო გაერთიანების სპორტკლუბ „გამარჯვების“ საცურაო აუზში. შეჯიბრებაზე მონაწილეებთან ერთად მშობლებიც მოსულიყვნენ და აქტიურად გულშემატკივრობდნენ ნორჩებს.

— ცურვის კვირეულისათვის სპეციალური გრაფიკი შევადგინეთ,— გვითხრა სპორტკლუბის თავმჯდომარემ ავთანდილ მელაძემ. — აუზი მუშაობას იწყებს დილის 7 საათიდან. 8 საათამდე საამქროების მიხედვით აქ მუშები მოდიან. 12-დან 13 საათამდე აუზი მოსამსახურეების განკარგულებაშია. 17-დან 18 საათამდე ცისფერ ბილიკებზე ისევ მუშა-მოსამსახურეები ეჯიბრებიან ერთმანეთს. დანარჩენი დრო საბინონემენტო ჯგუფებს ეთმობა. დღეს კი პატარების ზეიმია. ცურვის მოყვარულთა კლუბი „ნეპტუნი“ მესამე წელია ყოველ სექტემბრის თვეში ცურვის შემსწავლელთათვის სპეციალურ ჯგუფებს ხსნის. შარშან 1981-82 წლებში დაბადებული ბავშვები მივიღეთ. დღეს მათი პირველი ნათლობაა დიდ აუზში. ვინც 25 მეტრს გაცურავს, ის მიიღებს მოწმობას — „ცურვა ვიცი“...

კვირას ასეთი მოწმობა „ნეპტუნის“ ბევრმა წევრმა დაიმსახურა. ეს მათი პირველი დიდი გამარჯვება და, ვინ იცის, იქნებ პირველი საგზურიც იყოს დიდ სპორტში...

შემდეგ სარბიელი 1973 წელს და უფრო გვიან დაბადებულ მოცურავეებს დაეთმო. მათ შორის ბრძოლა უფრო მძაფრი გამოდგა. გამარჯვებულებს სიგელები და საჩუქრები გადაეცათ. „ნეპტუნის“ ზეიმი, რომელშიც 100-მდე ნორჩი მოცურავე მონაწილეობდა, დიდხანს გაგრძელდა.

ᲕᲐᲟᲐ ᲪᲘᲜᲪᲐᲫᲔ.

„სინათლე“—რესპუბლიკის ჩემპიონი



ᲨᲐᲠᲨᲐᲜ კალათბურთელ ვაჟთა რესპუბლიკური ჩემპიონატის სუპერფინალში ერთმანეთს სახელმწიფო უნივერსიტეტისა და „სინათლის“ გუნდები შეხვდნენ. მაშინ წარმატება სტუდენტმა კალათბურთელებმა მოიპოვეს. წლევანდელი სუპერფინალის მონაწილენიც იგივე გუნდები იყვნენ, ოღონდ ამჯერად ჩემპიონი „სინათლე“ გახდა.

პირველი სუპერფინალური მატჩი „სინათლემ“ მოიგო ანგარიშით 107:104. ბრძოლა, რომლის პირველ ნახევარში ერთგვარ უპირატესობას უნივერსიტეტელები ფლობდნენ (ტაიმი მათ მოიგეს ანგარიშით 60:57) მძაფრი და დაძაბული გამოდგა. „სინათლემ“ მეტი სიმტკიცე და შეუპოვრება გამოიჩინა, რამაც გამარჯვება მოუტანა. ამ დღეს „სინათლეში“ საუკეთესო სნაიპერი ბერუაშვილი იყო — 29 ქულა. უნივერსიტეტის გუნდს ყველაზე მეტი ქულა ტალაბაძემ შესძინა — 35. საინტერესოა აღინიშნოს, რომ უნივესიტეტელმა კახა ქართველიშვილმა ექვსი სამქულიანი სროლა განახორციელა.

განმეორებით მატჩში „სინათლის“ უპირატესობა აშკარა იყო. პირველი ტაიმი მან 15 ქულით მოიგო 62:47. სხვაობა მეორე ტაიმში უფრო დიდიც იყო. დაახლოებით მერვე წუთისთვის „სინათლე“ 17 ქულას იგებდა, მაგრამ უნივერსიტეტის კალათბურთელებმა თავგანწირული თამაშით ეს სხვაობა მინიმუმამდე დაიყვანეს. იყო მომენტი, როცა „სინათლის“ გამარჯვება საეჭვო გახდა, მაგრამ სტუდენტებს არ ეყოთ სიმტკიცე და „სინათლემ“ გამარჯვება ბოლომდე მიიყვანა — 100:96. ამჯერად ყველაზე შედეგიანი კალათბურთელები გურასპაული („სინათლე“, 37 ქულა) და ტიუბინი (თსუ, 31 ქ.) იყვნენ.

მაშ ასე, ჩემპიონატი დამთავრდა, ანალიზი მომავლის საქმეა, მაგრამ ერთი რამ ამთავითვე უნდა ითქვას — ყველაფერი უნდა ვიღონოთ, რომ ამ ჩემპიონატმა ახალგაზრდა კალათბურთელთა აღზრდადაოსტატებას შეუწყოს ხელი.

საქართველოს 1988 წლის ჩემპიონი კალათბურთში — თბილისის „სინათლე“.

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო.

ინერგება სიახლე

სიტყვით და საქმით

ამას წინათ სოხუმში დამთავრდა საქართველოს პირველობის ზონალური ტურნირი ქალთა შორის, რომელშიც 11 გუნდმა მიიღო მონაწილეობა.

რა გვიჩვენა შეჯიბრებამ?

გვესაუბრება საქართველოს სპორტსახკომის მთავარი მწვრთნელი ფრენბურთში, საერთაშორისო კატეგორიის მსაჯი ედუარდ სანთელაძე.

— ასპარეზობის მონაწილეთა შორის ყველაზე უკეთ მომზადებული საქართველოს გოგონათა ნაკრები აღმოჩნდა, რომელმაც დამსახურებულად დაიკავა პირველი ადგილი. გოგონების წარმატება ორმაგად სასიხარულოა, რადგან მათ 12 აგვისტოდან ივანოვოში ჭაბუკთა II საკავშირო თამაშებზე მოუწევთ რესპუბლიკის ღირსების დაცვა. მეორე-მესამე ადგილებზე შესაბამისად სოხუმელი და ცხინვალელი სპორტსმენები გავიდნენ. საქართველოს პირველობის ფინალშიც ეს ორი გუნდი ითამაშებს თბილისის ზონაში გამარჯვებულ ორ გუნდთან ერთად. შეჯიბრება ჩატარდება მიმოსვლით, ოთხ ტურად. რაც შეეხება რესპუბლიკის ნაკრებს, გოგონები წლეულს მისაღებ გამოცდებს აბარებენ და ვინც ჩაირიცხება, შესაბამისი უმაღლესი სასწავლებლის სახელით იასპარეზებს.

გარდა ზემოთ დასახელებული სამი გუნდისა, სხვა კოლექტივები შეჯიბრებაზე სუსტად მომზადებული ჩამოვიდნენ. ამის დასტურია თუნდაც ის, რომ საქართველოს ნაკრებმა იოლად დაამარცხა ლაგოდეხის გუნდი — 3:0 (21:5, 21:0, 21:7), ასევე ძალების დაუძაბავად მოუგეს ცხინვალელებმა სამტრედიელებს, თანაც მესამე პარტიაში 21:0 იმარჯვეს. ცუდად გამოვიდნენ რუსთავისა და ფოთის კოლექტივებიც. მაინცდამაინც ვერც ქუთაისელებმა გაგვახარეს.

რადგან ეს დიდი სპორტული ტრადიციების მქონე ქალაქი ვახსენეთ, ბარემ ვიტყვით იმასაც, რომ ზემოაღნიშნული შეჯიბრების პარალელურად ქუთაისშიც უნდა ჩატარებულიყო ვაჟთა მსგავსი ტურნირი. სამწუხაროდ, მასპინძლებმა ვერ შეძლეს ღია სპორტული მოედნის მოწყობა. დახმარებისთვის ბათუმსა და ცხინვალს მივმართეთ, მაგრამ არც ამ ქალაქებში აღმოჩნდა ღია მოედნები მზად. იძულებული გავხდით შეჯიბრება სექტემბრისათვის გადაგვეტანა. აქვე დავძენთ, რომ საქართველოს სპორტსახკომის 1987 წლის 21 მაისის დადგენილებით 1987-1988 წლებში ღია ფრენბურთის მოედნები 200-300 დასაჯდომადგილიანი ტრიბუნებით უნდა აშენებულიყო რუსთავში, თელავში, ქუთაისში, სამტრედიაში, გორში, წყალტუბოში, ბათუმში, მაგრამ ზემოაღნიშნული დადგენილების შესასრულებლად ამ ქალაქებში დღემდე არაფერი გაკეთებულა.

● როცა სოხუმში ჩატარებულ თამაშებს შეეხეთ, რამდენადმე უცნაური შედეგები დაასახელეთ. როგორ ხსნით ამას?

— წლეულს გადავწყვიტეთ თამაშის ტრადიციული წესებისაგან ოდნავ გადაგვეხვია. საქართველოს ფრენბურთის ფედერაციის მწვრთნელთა საბჭომ თხოვნით მიმართა რესპუბლიკის სპორტსახკომს ფრენბურთის თამაშის წესებში რამდენიმე პუნქტის შეცვლის თაობაზე და შესაბამისი თანხმობაც მიიღო. აქედან გამომდინარე, მაისიდან ნოემბრამდე საქართველოში ყველა ასპარეზობა მხოლოდ ღია მოედნებზე გაიმართება. თამაში ჩვეულებრივ ხუთი პარტიისაგან შედგება, მაგრამ თვით პარტიებში ქულათა რაოდენობა გაზრდილია 21-მდე. ეს იმით არის გამოწვეული, რომ გუნდი, რომლის მოედანსაც ბურთი უშუალოდ შეეხება, დამატებით ერთი ქულით ჯარიმდება. ე. ი. თუ პარტიაში ანგარიში იყო 5:3 და მომწოდებელმა გუნდმა შეძლო ბურთის მეტოქის მოედანზე ჩაგდება, ანგარიში ხდება 7:3 და არა 6:3, როგორც ეს ჩვეულებრივი წესების მიხედვითაა გათვალისწინებული. ასეთ პირობებში 15 ქულამდე თამაში პარტიის ხანგრძლივობას მკვეთრად შეამცირებდა და პაექრობა საყურებლად უინტერესო გახდებოდა.

● რა აუცილებლობამ გამოიწვია ერთი მოგებული ბურთის ორ ქულად შეფასება?

— ვიმეორებ, ეს მოხდება მხოლოდ მაშინ, როცა ბურთი უშუალოდ მეტოქის მოედანს შეეხება. სხვა შემთხვევაში (თუ მოთამაშე ბურთს მოედნის გარეთ მოიგერიებს) „ერთქულიანობა“ ძალაში რჩება. დღემდე არსებული თამაშის წესებში ამგვარი ცვლილებების აუცილებლობამდე დაცვაში ჩვენი ფრენბურთელების ინერტულმა თამაშმა მიგვიყვანა. რამდენჯერ გვინახავს, თუ როგორ თავისუფლად დაშვებულა ბურთი ამა თუ იმ გუნდის მოედანზე, მოთამაშეებს კი მხოლოდ თვალი მიუდევნებიათ მისთვის. ახალი წესების შემოღება უფრო მკვეთრად აგრძნობინებს ფრენბურთელებს უხეში შეცდომებისა და ინერტული თამაშის შედეგებს. ამაში თვალნათლივ დავრწმუნდით სოხუმში, სადაც სპორტსმენები თითოეული ბურთისთვის თავგანწირვით იბრძოდნენ.

● ბოლო ხანებში ბევრი რამ კეთდება ქართული ფრენბურთის საკეთილდღეოდ, დაკარგული ტრადიციების აღსადგენად, თუმცა რა დასამალია, რომ დღეს ქართულ ფრენბურთს ნამდვილად უჭირს: ერთი ხაშუალო დონის ვაჟთა გუნდი გვყავს საბჭოთა კავშირის ჩემპიონატის I ლიგაში, გოგონებისთვის კი ესეც ხანატრელია...

— ქართული ფრენბურთის ჩამორჩენა ახალგაზრდა სპორტსმენებთან ცუდი მუშაობის შედეგია. წლების მანძილზე თავს ვიწონებდით ნაირგვარი მონაცემებითა და ცნობებით. მწვრთნელთა წლევანდელმა ატესტაციამ კი გვიჩვენა, რომ ნორჩ ფრენბურთელებთან მუშაობდნენ ისეთი აღმზრდელები, რომლებსაც არაფერი ჰქონდათ საერთო ფრენბურთთან და არც გუნდი შესტკიოდათ სპორტის ამ სახეობაზე. მართალია, დღეს მდგომარეობა უმჯობესდება, მაგრამ ძალიან ნელა, ზოგ ადგილებზე კი ხელმძღვანელები არც კი ცდილობენ საქმის წინ წაწევას. ბევრ კოლექტივს არ გააჩნია სპორტული

ბაზები. მაგალითად, თბილისის განათლების სამმართველოს ოლიმპიური რეზერვის ბავშვთა და მოზარდთა სპორტულ სკოლას ელემენტარული პირობებიც არ გააჩნია სასწავლო-საწვრთნელი მუშაობის ჩასატარებლად, ორი წელია ვერ გადაწყდა ამ სკოლისთვის ერთი რომელიმე დარბაზის მიმაგრებისა და სპორტულ-გამაჯანსაღებელი ბანაკის ორგანიზაციის საკითხი. შარშან შემოწმებისას სკოლის კურსდამთავრებულთა 50-მა პროცენტმა სანორმატივო მოთხოვნები ვერ ჩააბარა. ამის შემდეგ რა გასაკვირია, რომ მოზრდილთა გუნდებში არ იყო ყველაფერი რიგზე. გასული სეზონი ვაჟთა გუნდმა „მშენებელმა“ არასტაბილურად ჩაატარა I ლიგაში და XI ადგილი დაიკავა. უკეთესი შედეგის მოპოვება შეიძლებოდა, მაგრამ ორი ჩვენი საუკეთესო მოთამაშე საბჭოთა არმიის რიგებში გაიწვიეს და ცსკა-ს მეორე გუნდის შემადგენლობაში ისინი „მშენებლის“ წინააღმდეგ თამაშობდნენ. თუ არაფერი ვიღონეთ, მსგავს მდგომარეობაში აღმოვჩნდებით მომავალ წელს ახალგაზრდულ IV საკავშირო თამაშებზე, რადგან რესპუბლიკის ახალგაზრდული ნაკრების 12 ძირითადი მოთამაშე ახლახან საბჭოთა არმიის რიგებში გაიწვიეს. იქნებ ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ხელმძღვანელობამ გაითვალისწინოს ჩვენი თხოვნა და დაგვეხმაროს გუნდის მთლიანი შემადგენლობის შენარჩუნებაში...

● დღეს მოფლოში ფრენბურთგაქანება მიეცა ორგან წოდებულ „საპლიაჟო ფრენბურთს“. ამას მოწმობს თუნდაც ის ფაქტი, რომ უკვე მხოფლიო ჩემპიონატიც გაიმართა. საქართველოში რა ღონისძიებები ტარდება ამ სახეობის დანერგვისა და პოპულარიზაციისათვის?

— ჩვენთან „საპლიაჟო ფრენბურთის“ დასანერგად ჯერ კიდევ ძალიან ცოტაა გაკეთებული. ბევრმა შეიძლება არც იცის, რას ნიშნავს „საპლიაჟო ფრენბურთი“, ამიტომ ზოგ რამეს განვმარტავთ: სპორტის ამ სახეობაში მოედანზე ორი ფრენბურთელი თამაშობს ორის წინააღმდეგ. დიდი ფრენბურთისაგან განსხვავებით, თამაში ერთი პარტიისაგან შედგება 15 ქულამდე, მოედნის თითოეული მხარე შემცირებულია 150 სანტიმეტრით. დანარჩენი ზომები და თამაშის წესები იგივეა, რაც დიდ ფრენბურთში. როგორც ხედავთ, ასეთი თამაში ყველას აძლევს ხელს, რადგან ბევრად ადვილია ორკაციანი ძლიერი გუნდის შედგენა, ვიდრე ექვსკაციანისა. რეგიონების მიხედვით სპორტის მესვეურებს მიეცათ დავალება, ადგილებზე ყოველგვარი ასაკობრივი და რაოდენობრივი შეზღუდვების გარეშე (ჯერჯერობით შეჯიბრება მხოლოდ ვაჟებისთვის იმართება) ზაფხულის პერიოდში მოაწყონ შეჯიბრებები საუკეთესო გუნდების გამოსავლენად, ოქტომბერში კი საქართველოს ჩემპიონატის ფინალს ჩავატარებთ. დარწმუნებული ვართ, ამ წამოწყებას მხარს დაუჭერენ რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების, სხვადასხვა კოლექტივების წარმომადგენლები.

გვჯერა, „საპლიაჟო ფრენბურთი“ ხელს შეუწყობს საქართველოში ფრენბურთის აღმავლობას, საუკეთესო მოთამაშეების გამოვლენას, ფრენბურთელისთვის აუცილებელი თვისებების უკეთ განვითარებასა და ოსტატობის დახვეწას. თუ ჩვენ ყველანი ერთმანეთს ხელს შევუწყობთ, სიტყვას და საქმეს გავაერთიანებთ, ქართული ფრენბურთის აღორძინება და წინსვლა გარანტირებული იქნება.

საუბარი ჩაიწერა ვაჟა დანელიამ.

მუშათა სპარტაკიადა

ეროვნულ კოლექტივებში

დიდი ინტერესი გამოიწვია პროფკავშირების ნებაყოფლობითი ფიზკულტურულ-სპორტული საზოგადოების რაიონული საბჭოს მიერ მუშათა სპარტაკიადის პროგრამით ჩატარებულმა გუნდურმა შეჯიბრებამ მაგიდის ჩოგბურთში, რომელშიც 14 კოლექტივი მონაწილეობდა.

დაძაბულ პაექრობაში პირველი ადგილი წილად ხვდა „ცენტრმეტალურგმშენის“ ზესტაფონის სპეციალიზებული სამმართველოს გუნდს, მეორე ადგილზეა სოფელ ფუთის ა. წერეთლის სახელობის კოლმეურნეობის, ხოლო მესამეზე— შორაპნის ქარხანა „ელექტროელემენტის“ გაერთიანებული კოლექტივი.

ჯემალ ბასათაძე.

ზესტაფონი.

ოსტატობა ვერ დაამტკიცეს

ცურვაში უმაღლეს სასწავლებლებში საგანგაშო მდგომარეობაა

დიდი ხანია მივეჩვიეთ იმ ამბავს, რომ საქართველოს მოცურავეთა ჩემპიონატებში სპორტსმენები იმ თანრიგებს, რომლებიც მათ აქვთ მინიჭებული, ვერ ამტკიცებენ, ან ძალზე იშვიათად ამტკიცებენ. ისიც ჩვეულებრივ ამბად იქცა, რომ ცურვის ზოგიერთ სახეობაში სტარტზე თითო-ოროლა სპორტსმენს ვხედავთ.

უკეთეს მდგომარეობას, ბუნებრივია, არც სტუდენტთა რესპუბლიკური „უნივერსიადა-88“-ის პროგრამით გათვალისწინებულ მოცურავეთა შეჯიბრებაზე ველოდით. მართალია, ამ ასპარეზობაში, რომელიც ქუთაისში გაიმართა, ჩათვლაში II თანრიგი და უკეთესი მაჩვენებლები შედიოდა, მაგრამ მონაწილეთა სიმრავლე მაინც იმთავითვე გამორიცხული იყო. იმისთვის, რომ ცურვაში II თანრიგის ნორმატივი შეასრულო, საკმაოდ დიდი შრომაა საჭირო, ამისი საშუალება კი ჩვენს უმაღლეს სასწავლებლებს, აუზების უქონლობის გამო, არ გააჩნიათ. თუმცა, აუზებიც რომ ჰქონდეთ, სტუდენტობის წლებში ვარჯიშის დაწყება და II თანრიგის შესრულება ძალზე ძნელია.

ამიტომ უნივერსიადის მონაწილე უმაღლესი სასწავლებლები ისევ „ნამდვილი“ მოცურავეების ან ყოფილი მოცურავეების იმედად უნდა ყოფილიყვნენ.

ასეთი მოცურავეები, მეტ-ნაკლებად შვიდ უმაღლეს სასწავლებელს აღმოაჩნდა. აქედან ექვსი: საქართველოს ფიზკულტურისა და პოლიტექნიკური ინსტიტუტების, თბილისის უნივერსიტეტის, სამედიცინო, საქართველოს სასოფლო-სამეურნეო და ზოოვეტერინარული ინსტიტუტები რესპუბლიკის დედაქალაქში მდებარე სასწავლებლები აღმოჩნდა. შეჯიბრების მონაწილე ერთადერთი უმაღლესი სასწავლებელი, რომელიც „პერიფერიიდან“ იყო, ქუთაისის პოლიტექნიკური ინსტიტუტი გახლდათ.

საბოლოო ჯამში სარბიელზე 62 სპორტსმენი გამოვიდა. მათ შორის, სამწუხაროდ, მხოლოდ 18 ქალი აღმოჩნდა.

ასპარეზობის მონაწილეთაგან სპორტის ოსტატის შედეგი მხოლოდ ერთმა მოცურავემ აჩვენა, ოსტატობის კანდიდატისა — ხუთმა, I თანრიგისა — თორმეტმა, მეორე თანრიგისა — ოცდაექვსმა, თორმეტი კი საერთოდ უთანრიგოდ დარჩა. არადა, ეს იმ დროს, როცა შეჯიბრების მონაწილეთა შორის... 10 სპორტის ოსტატი, 24 ოსტატობის კანდიდატი და 12 პირველთანრიგოსანი გამოვიდა.

ისიც უნდა ითქვას, რომ ასპარეზობის მონაწილეთა ნაწილი რესპუბლიკის მოცურავეთა ნაკრების წევრი ან ყოფილი წევრი იყო, როცა ისინი უმაღლეს სასწავლებლებში მისაღებ გამოცდებს აბარებდნენ, ალბათ მათი დიდი იმედი ჰქონდათ, მაგრამ, როგორც ნახეთ, ნდობა ვერ გამართლეს.

ზოგიერთმა შეიძლება თავი იმართლოს, რას გვერჩით, საპრიზო ადგილები ხომ მოვიპოვეთო, მაგრამ ოსტატობის კანდიდატი რომ მეორე თანრიგის შედეგით გაიმარჯვებს, ეს უკვე სპორტის მეტისმეტად აბუჩად აგდებაა.

ერთადერთი მოცურავე, რომლის მიმართ არავითარი პრეტენზიის გამოთქმა არ შეიძლება, ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტი როლანდ ხვადაგიანია, რომელიც 400 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში სპორტის ოსტატობის შედეგს შესწვდა (4.12,5). ხვადაგიანმა გაიმარჯვა 200-მეტრიან დისტანციაზეც (1.59,4), სადაც სპორტის ოსტატის შედეგამდე სულ ცოტა დააკლდა.

ხვადაგიანის შემდეგ შეჯიბრება ყველაზე კარგი მაჩვენებლებით დაამთავრა მისმა თანაგუნდელმა იგორ არტიომოვმა, რომელმაც ოსტატობის კანდიდატის შედეგით ყველას აჯობა 400 მეტრზე კომპლექსურ (4.58,0) და 1500 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში 16.55,0). მანვე ასეთივე შედეგით მეორე ადგილი დაიკავა 100 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში (57,0). აქ იგი სულ 0,1 წამით ჩამორჩა გამარჯვებულ თანაგუნდელ სერგეი მაკაროვს.

ოსტატობის კანდიდატის შედეგებით გაიმარჯვეს აგრეთვე ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტმა გიორგი აბზიანიძემ (200 მეტრზე ბატერფლაით — 236,0) და საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის წარმომადგენელმა ვლადიმერ ბებიაშვილმა (200 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში — 2.05,0.

როგორც ხედავთ, იმ სპორტსმენთა შორის, რომლებმაც მეტნაკლებად გამოიჩინეს თავი, არც ერთი ქალი არაა. უფრო მეტიც, მათ შორის არ აღმოჩნდა ერთი სპორტსმენიც, რომელიც 400 მეტრზე თავისუფალი სტილით და ამავე დისტანციაზე კომპლექსურ ცურვაში, აგრეთვე 200 მეტრზე ბატერფლაით ცურვაში იასპარეზებდა.

გუნდურ ჩათვლაში ადგილები ასე განაწილდა: საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტი (1437 ქულა), სპი (1083), თბილისის უნივერსიტეტი (907), ქუთაისის პოლიტექნიკური ინსტიტუტი (263), საქართველოს ზოოვეტერინარული ინსტიტუტი (125), თბილისის სამედიცინო ინსტიტუტი (123), საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი (80).

ავთანდილ ბაკიშელი.

ცამეტი წლის შემდეგ

საქართველოს მაგიდის ჩოგბურთელ ვაჟთა ნაკრებმა გუნდმა, რომელიც მთლიანად პროფკავშირთა სპორტსაზოგადოების წარმომადგენლებისაა დაკომპლექტებული, ამას წინათ მონაწილეობა მიიღო მინსკში გამართულ საბჭოთა კავშირის თასის გათამაშებაში. ჩვენმა გუნდმა მეექვსე ადგილი დაიკავა გუნდურ ჩათვლაში.

საქართველოს ვაჟთა ნაკრებს ასეთი შედეგი არ ქონია 1975 წლის შემდეგ. მოხვდე ექვსეულში, ეს ურიგო შედეგი არ არის, მით უფრო ჭაბუკთა მეორე საკავშირო თამაშების წინ. არ უნდა დავივიწყოთ ისიც, რომ ქართველ ჩოგბურთელებს წლების განმავლობაში თან სდევდა წარუმატებლობა.

სასიამოვნოა, რომ ბოლო დროს სპორტის ამ სახეობაში იგრძნობა გამოცოცხლება, რაც, რა თქმა უნდა, ნაკრების უფროსი მწვრთნელის ჯემალ მელაძის დაუღალავი შრომის შედეგიცაა. ავიღოთ თუნდაც ქვეყნის ნაკრები გუნდის კანდიდატის, სპორტის ოსტატების პ. ფირცხალავასა და ვ. ივანჩენკოვის მიერ პროფკავშირების საკავშირო პირველობაზე მოპოვებული მესამე

ადგილი. ამ შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ ქვეყნის უძლიერესი ჩოგბურთელები და იგი საკავშირო პირველობას არ ჩამოუვარდებოდა.

ახლა რაც შეეხებათ გოგონებს. აქ ჯერ კიდევ ბევრი მუშაობა გვმართებს. ამას წინათ ალიტუსში გამართულ საკავშირო თასის გათამაშებაში მათ მიერ ნაჩვენები მეთოთხმეტე შედეგი, ვერაფერი ნუგეშია, მიუხედავად იმისა, რომ ამ შეჯიბრებაში ასაკი განუსაზღვრელი იყო, ხოლო ჩვენი გოგონები მხოლოდ 12-14 წლისანები არიან.

მალე ჭაბუკთა საკავშირო თამაშები დაიწყება, რომელიც, ასე ვთქვათ, ერთგვარი „სასინჯი ქვა“ იქნება რესპუბლიკის ჩოგბურთელების პოტენციური შესაძლებლობის შესამოწმებლად.

რონა ბერიკაშვილი,
საქართველოს მაგიდის ჩოგბურთის ფედერაციის თავმჯდომარის მოადგილე.

ევროპა, ევროპა...

ევროპის საფეხბურთო ჩემპიონატზე განვლო იმ აჟიოტაჟმა, რომელიც ამგვარი რანგის შეჯიბრებებს უძღვის წინ, თავთავიანთი ადგილები „მოძებნა“ ყველამ — მონაწილე გუნდებმაც, შეჯიბრების ორგანიზატორებმაც, გულშემატკივრებმაც, დაიწყო ნამდვილი „სამუშაო დღეები“.

უკვე ლაპარაკია იმაზე, რომ ჩემპიონატში რამდენიმე სენსაცია მოხდა, უპირველესად გამოჰყოფენ ინგლისისა და ირლანდიის, ჰოლანდიისა და სსრ კავშირის გუნდების შეხვედრათა შედეგებს. ავიღოთ, მაგალითად, ინგლისისა და ირლანდიის გუნდების შეხვედრა. პროგნოზი ინგლისელთა გამარჯვებას წინასწარმეტყველებდა, ვინაიდან ინგლისის ნაკრები ბოლო წლების მანძილზე დიდად მომძლავრდა. მაგრამ ამავე დროს, ირლანდიელთა რიგებშიც გამოდიან ასეთივე აღიარებული ოსტატები, რომელთა უმეტესობა ინგლისის უძლიერეს კლუბებში თამაშობს.

ცხადია, ასეთ შემთხვევებში წინასწარ უპირატესობის მინიჭება რომელიმე გუნდისთვის შეუძლებელია, აქ უფრო ძალთა საერთო თანაფარდობაა.

ეს თანაფარდობა ნათლად ჩანდა მატჩის დასაწყისშივე, მაგრამ, როცა ინგლისელთა მცველებმა მე-6 წუთზე თავიანთ საჯარიმო მოედანზე შეცდომების მთელი სერია დაუშვეს, ცხადად გამოჩნდა, რომ ირლანდიელები უფრო მობილიზებულნი და საბრძოლველად განწყობილნი ჩანდნენ. მინდვრის სიღრმიდან მოწოდებული ბურთისთვის ბრძოლაში ერთმანეთს შეეტაკა ინგლისელთა ორი მცველი, შემდეგ ბურთის მოგერიებისას აშკარა შეცდომით ითამაშა მესამე მცველმაც და ჰოუგთონმა (№ 8) თავით ზუსტად გადაუგდო ბურთი კარიდან ოდნავ წინ გამოსულ შილტონს — 1:0.

წინ თითქმის მთელი მატჩი იყო, 84 წუთი. ამ დიდი დროის მანძილზე ინგლისელებს მრავალი შესაძლებლობა ჰქონდათ თუნდაც საპასუხო ბურთი გაეტანათ. ისინი ყველაფერს აკეთებდნენ კარგი პოზიცია რომ შეექმნათ თავიანთი მთავარი ბომბარდირის ლინეკერისათვის. მასაც სხვა პარტნიორებთან ერთად ბურთის გატანის მრავალი შესაძლებლობა ჰქონდა. და მაინც, ინგლისელებმა ვერაფერი გააწყეს მეტოქესთან, რომელიც არნახული თავგამოდებით იბრძოდა და ჰოუგთონის ის ერთი გოლიც გადამწყვეტი გამოდგა. ეს სიურპრიზი კი არაა, არამედ ფაქტი: ევროპის VIII ჩემპიონატის ფინალში მეტოქეთა ძალები თანაბარია, ყოველი მატჩის წინ პროგნოზებს შეიძლება მხოლოდ კითხვის ნიშანი დავუსვათ. გამარჯვების შანსი ყველა მონაწილეს დაახლოებით ერთნაირი აქვს.

პირველ მატჩს შუადამ თან ახლავს მოჭარბებული ნერვიულობა, გაურკვევლობა, მით უმეტეს ისეთ ვითარებაში, რომელიც წინ უძღოდა სსრ კავშირის ფეხბურთელთა შეხვედრას ჰოლანდიელებთან. საყოველთაოდ ცნობილია, რომ ჰოლანდიის ნაკრებმა ბოლო წლების მძიმე ჩავარდნის შემდეგ დიდ პროგრესს მიაღწია გამოცდილი მწვრთნელის რინუს მიჰელსის ხელმძღვანელობით.

ჰოლანდია — სსრ კავშირის გუნდების მატჩი ყველამ ვნახეთ ტელევიზიით და ვერავინ იტყვის, რომ საბჭოთა ნაკრებმა გამარჯვებას მხოლოდ იღბლიან ვითარებათა წყალობით მიაღწია. ბრძოლა იყო შეუპოვარი, დაძაბული, ორივე მხარე თამაშობდა სრული ენერგიით, მონდომებით და, თუმცა, პირველი 10-15 წუთი შედარებით ნელ ტემპში მიმდინარეობდა, შემდგომში თამაში გაიშალა, ჰოლანდიელებს შეტევის წინა ხაზზე სამი თავდასხმელი ჰყავდათ, საბჭოთა გუნდის კართან რამდენიმე უკიდურესად სახიფათო მომენტი შეიქმნა, მაგრამ საბჭოთა გუნდის მცველებმა შეძლეს ყველა ხიფათის მოგერიება, შესანიშნავად ითამაშა მეკარე დასაევმა.

საბჭოთა ნაკრებმა ამ მატჩში კოლექტიური ბრძოლის ფორმები ამჯობინა, რომლის დროსაც დატვირთვა თანაბრად განაწილდა ყველა მოთამაშეზე, პერსონალური მეურვე რ. გულიტისთვისაც არ მიუჩენიათ. თვით რ. გულიტი კი, ჩვენი აზრით, ზედმეტ დატვირთვას იღებდა თავის თავზე, დაცვის სიღრმეში ხშირად იხევდა, წინა პოზიციაზეც გადიოდა, ამიტომაც ამ ენერგიული ფეხბურთელის ძალები ერთგვარად დაიქსაქსა, ჰოლანდიელთა იერიშებში მისი ხელი ნაკლებად იგრძნობოდა.

მატჩის ბედი 54-ე წუთზე გადაწყდა. საბჭოთა ფეხბურთელები მარჯვენა ფლანგიდან უტევდნენ, ბელანოვმა ზუსტად გადააწოდა ბურთი მარცხნივ, მინდვრის სიღრმიდან აქ სწრაფად გადმოინაცვლა ნახევარმცველმა რაცმა და ზუსტად დაარტყა კარში. ვან ბრეკლენმა ვერ შეძლო ბურთის მოგერიება და ანგარიშიც გაიხსნა. ალბათ, ვერავინ იტყოდა, რომ მატჩის ბედს ეს გოლი გადაწყვეტდა. სტადიონზე დაეყოლებოდათ და შესაბამისად ააგო კონტრშეტევები.

ჰოლანდიელთა თამაშში ერთგვარი პრიმიტიულობა სჭვიოდა, მათ შეტევის ფლანგები გამოთიშული ჰყავდათ, იერიშს მხოლოდ ცენტრში ახორციელებდნენ, აქ კი ძალზე მძიმე დატვირთვა დააწვა რ. გულიტს, მისი ფენომენალური შესაძლებლობანი ერთგვარად შებორკილი იყო დაცვიდან თავდასხმაში და პირიქით დაუსრულებელი მოძრაობით.

სსრ კავშირის ნაკრებმა ჰოლანდიელებთან ასეთი შემადგენლობით ითამაშა: დასაევი, ბესონოვი, ხიდიატულინი, კუზნეცოვი, დემიანენკო, მალალი ბურთისთვის იბრძვიან რუუდ გულიტი (მარცხნივ) და ოლეგ პროტასოვი.

სპორტ-საქინფორმის ტელეფოტო.

ევროპის 1988 წლის ჩემპიონატი ფეხბურთში

მსწრეთა ორი მესამედი ჰოლანდიელი ფანატიკოსი გულშემატკივარი იყო, ისინი აუწერელი ხმაურით ეგებებოდნენ თავიანთი გუნდის იერიშებს, მაგრამ დრო გადიოდა და საპასუხო გოლი, თუნდაც, ერთადერთი, არა და არ ჩანდა.

ჰოლანდიელი ფეხბურთელები მატჩის დასასრულს შესამჩნევად დაიღალნენ, რამაც ჩვენს გუნდს რამდენიმე სწრაფი, ძლიერი კონტრშეტევის შესაძლებლობა შეუქმნა.

აღსანიშნავია, რომ სსრ კავშირისა და ჰოლანდიის გუნდების შეხვედრა რამდენადმე წააგავდა ინგლის-ირლანდიის ფეხბურთელთა მატჩს. ვ. ლობანოვსკიმ სწორად გაითვალისწინა, რომ ჰოლანდიელებს დაცვაში მხოლოდ 3 მცველი დასაევს, რომელმაც მრავალ ხიფათს გადაგვარჩინა“.

თავიანთი შეხედულებანი გამოთქვეს მატჩზე დამსწრე ი. კრუიფმა და ვ. ბეკენბაუერმა. პირველმა განაცხადა, რომ ეს შესანიშნავი თამაში იყო, სადაც ჰოლანდიელებს ბურთის გატანის მრავალი შესაძლებლობა ჰქონდათ, მაგრამ მდგომარეობა იხსნა მსოფლიო კლასის მეკარემ რ. დასაევმა. ბეკენბაუერის აზრით საბჭოთა ფეხბურთელებმა გამარჯვებას დიდი ენერგია და მორალური ძალები შეალიეს, წინ კი მათ უძნელესი მატჩები აქვთ ირლანდიისა და ინგლისის გუნდებთან.

მატჩის შემდეგ, გვიან ღამით, სპეციალურმა ჟიურიმ დაასახელა ორივე გუნდის ორ-ორი საუკეთესო ფეხბურთელი: სსრ კავშირიდან — დასაევი და ხიდიატულინი, ჰოლანდიელთაგან — გულიტი და კუმანი.

დასავლეთგერმანელმა მსაჯმა ა. პაულმ გააფრთხილა საბჭოთა ფეხბურთელები ვ. ხიდიატულინი და მ. ლიტოვჩენკო. ამის შედეგად ლიტოვჩენკო 15 ივნისს ვერ გამოვა მინდორზე ირლანდიელებთან მატჩში.

14 და 15 ივნისს შედგება ევროპის ჩემპიონატის ფინალური ტურნირის მორიგი მატჩები. დღეს ერთმანეთს ხვდებიან გფრ — დანია, იტალია — ესპანეთი, ხოლო ხვალ ინგლისი — ჰოლანდია და ირლანდია — სსრ კავშირი.

ევროპის ჩემპიონატზე სადღეისოდ ასეთი მდგომარეობაა:

I ჯგუფი

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
ესპანეთი	1	1	0	0	2-2	2
გფრ	1	0	1	0	1-1	1
იტალია	1	0	1	0	1-1	1
დანია	1	0	0	1	2-3	0

II ჯგუფი

სსრ კავშირი	1	1	0	0	1-0	2
ირლანდია	1	1	0	0	1-0	2
ინგლისი	1	0	0	1	0-1	0
ჰოლანდია	1	0	0	1	0-1	0

სტატისტიკა, სტატისტიკა...

● **ევროპის** საფეხბურთო ჩემპიონატის ორგანიზატორები იუწყებიან, რომ ფინალურ ტურნირში მონაწილე 8 გუნდის განაცხადებში 160 ფეხბურთელია შეყვანილი, ჩემპიონატზე კი აკრედიტებულია 3 ათასზე მეტი ჟურნალისტი. თითოეულ ფეხბურთელზე დაახლოებით 18 ჟურნალისტი მოდის.

● **ჩემპიონატის** 15 მატჩზე ჯერჯერობით გაიყიდა 950.000 ბილეთი, გასაღებული ბილეთების თანხის 10 პროცენტს მიიღებს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საფეხბურთო კავშირი.

ჩემპიონატის ფინალური მატჩის მონაწილე ორი გუნდიდან თითოეული მიიღებს 3.652.500 დასავლეთგერმანულ მარკას, ნახევარფინალის მონაწილენი მიიღებენ 3.292.500 მარკას თითოეული, ხოლო დანარჩენი 12 გუნდისთვის განსაზღვრულია 2.992.500 მარკა თითოეულისთვის.

I ლიგა

განვლილ შაბათს გაიმართა I ლიგის ფეხბურთელთა საკავშირო 41-თამაშების ციკლი, XIII ტურის მატჩები.

საქართველოს ორივე გუნდი სტუმრად გამოდიოდა და ორივემ დიდი ანგარიშით განიცადა მარცხი. ლანჩხუთის „გურია“ ტაშკენტში დამარცხდა „ფახთაქორთან“ — 0:3, ბათუმის დინამოელებმა კი დუშანბეში წააგეს „პამირთან“ — 1:4.

კვლავ და კვლავ გვიხდება ლაპარაკი იმაზე, რომ საქართველოს წარმომადგენლები ძალზე ცუდად, უნებისყოფოდ თამაშობენ, განსაკუთრებით — მეტოქეთა მინდვრებზე. წინა ტურშიც ლანჩხუთელებმაც და ბათუმელებმაც დუშანბესა და ტაშკენტში მარცხი იწვნიეს. ჩვენი გუნდების ასეთი დაბალი დონე, უგულო და უხალისო თამაში კანონიერ უკმაყოფილებას იწვევს რესპუბლიკის სპორტულ საზოგადოებრიობაში. ლანჩხუთისა და ბათუმის სპორტულმა და საზოგადოებრივმა ხელმძღვანელებმა, პირველ რიგში, თვით ფეხბურთელებმა და მწვრთნელებმა საჭიროა სასწრაფო, ქმედით ზომებს მიმართონ არსებულ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად. ეს უნდა მოხდეს უახლოეს ხანებშივე. 16 ივნისს, XV ტურში, „გურია“ თავის მინდორზე მიიღებს ამოვიანის „კოტაიკს“, ხოლო ბათუმის დინამოელები შინ შეხვდებიან კრასნოდარის „უუბანს“

11 ივნისის ტურის სხვა შეხვედრები ასეთი შედეგებით დამთავრდა: „დაუგავა“ (რიგა) — „შინიკი“ (იაროსლავლი) 1:2, ასკ „კარპატი“ (ლვოვი) — „ტავრია“ (სიმფეროპოლი) 0:0, „როტორი“ (ვოლგოგრადი) — „სპარტაკი“ (ორჯონიკიძე) 2:1, ასკ (დონის როსტოვი) — „დინამო“ (სტავროპოლი) 2:1, „ზვეზდა“ (პერმი) — „კუზბასი“ (კემეროვო) 0:0, „გეოლოგი“ (ტიუმენი) — ცსკა 2:1, „კოტაიკი“ (ამოვიანი) — „ზარია“ (ვოროშილოვგრადი) 3:1, „უუბანი“ (კრასნოდარი) — „როსტსელმაში“ (დონის როსტოვი) 1:0, „კოლოსი“ (ნიკოპოლი) — „მეტალურგი“ (ზაპოროჟიე) 1:2.

ბათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 14 ივნისისთვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„პამირი“	14	8	5	1	26-12	21
„დინამო“ სტ.	14	8	4	2	20-10	20
ცსკა	14	8	3	3	20-9	19
„გეოლოგი“	13	8	2	3	18-13	18
ასკ რ.	13	7	2	4	19-15	16
„კოტაიკი“	14	7	2	5	20-22	16
„როტორი“	13	7	1	5	19-12	15
„ფახთაქორი“	14	5	5	4	18-15	15
ასკ „კარპატი“	13	6	2	5	20-11	14
„როსტსელ.“	13	5	4	4	17-13	14
„ტავრია“	13	4	6	3	12-10	14
„უუბანი“	14	5	3	6	15-19	13
„შინიკი“	13	5	2	6	12-16	12
„სპარტაკი“	14	5	2	7	19-25	12
„კუზბასი“	14	5	2	7	9-17	12
„დაუგავა“	13	4	4	5	14-13	12
„გურია“	13	5	1	7	13-17	11
„კოლოსი“	13	4	2	7	10-14	10
„ზარია“	13	3	4	6	15-17	10
„მეტალურგი“	13	2	5	6	6-16	9
„დინამო“ ბ.	13	3	0	10	9-20	6
„ზვეზდა“	13	0	5	8	9-24	5

საქართველოს პირველობა

გაიმართა საქართველოს საფეხბურთო ჩემპიონატის XV ტურის მატჩები: „დურუჯი“ (ყვარელი) — „ივერია“ (ხაშური) 4:1, „სამეგრელო“ (ჩხოროწყუ) — „სპარტაკი“ (ცხინვალი) 6:2, „არმაზი“ (მცხეთა) — „დინამო“ (ზუგდიდი) 2:2, „მეტალურგი“ (ზესტაფონი)— „საპოვნელა“ (თერჯოლა) 2:2, „მეშახტე“ (ტყიბული) — „სულორი“ (ვანი) 0:3, „ამირანი“ (ოჩამჩირე)— „სკური“ (წალენჯიხა) 3:0, „კოლხეთი“ (ხობი) — „სალხინო“ (გეგეჭკორი) 2:1 „შადრევანი“ (წყალტუბო) — ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) 2:0, „დინამო“ (გაგრა) — „ეგრისი“ (ცხაკაია) 4:0, „მაღაროელი“ (ჭიათურა) — „ბახტრიონი“ (ახმეტა) 3:2, „ქართული“ (გორის რაიონი) — „შადნეული“ (ბოლნისი) 1:0.

ფეხბურთი ● ● ●

ᲭᲐᲑᲣᲙᲗᲐ II ᲡᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲝ ᲡᲞᲝᲠᲢᲣᲚᲘ ᲗᲐᲛᲐᲨᲔᲑᲘ

ᲚᲘᲓᲔᲠᲡ ᲝᲠᲘ ᲬᲐᲛᲘᲗ ᲩᲐᲛᲝᲠᲩᲐ

ᲙᲘᲒᲘᲜᲘᲝᲕᲘ. როგორც იცით, ჭაბუკთა მეორე საკავშირო სპორტული თამაშები თბილისში მრავალდღიანი ველორბოლით დაიწყო. ამ შეჯიბრებაში პირველი გუნდური ადგილი ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლებმა მოიპოვეს (პირად ჩათვლაშიც ჩემპიონი და ვერცხლის პრიზიორი ჩვენ გვყავდა). ახლა თამაშებმა მოლდავეთის დედაქალაქში გადაინაცვლა, სადაც გოგონათა მრავალდღიანი ველორბოლა ტარდება.

ჩვენ ხელთა გვაქვს პირველი ეტაპის შედეგები (მეშვიდე, ბოლო ეტაპი კალენდრის მიხედვით გუშინ უნდა ჩატარებულიყო). საქართველოს ნაკრები გუნდურ ჩათვლაში IX ადგილზე იმყოფება. მას ალბათ უკეთაც შეეძლო გამოსვლა, მაგრამ მეორე ეტაპის ტრასაზე დაეცა ველოსიპედისტთა დიდი ჯგუფი, რომელშიც ჩვენი სპორტსმენებიც იყვნენ. ამან მათ შედეგებზე გარკვეული გავლენა იქონია, თუმცა...

ამ გუთვალისწინებელი შეფერხების შემდეგ **საქართველოს გუნდის წარმომადგენელმა სტელა პრიანინამ სამი ეტაპი მოიგო, დაეწია ლიდერებს და მეორე ადგილზე გადაინაცვლა.** პრიანინა ბოლო ეტაპის წინ ერთპიროვნულ ლიდერს მხოლოდ 2 წამით ჩამორჩება. მეშვიდე ეტაპი მას გარკვეულ შანსებს უნარჩუნებს, თუმცა საგზატკეცილო რბოლაში წინასწარ ვერაფერს იტყვით. ბოლო ეტაპმა ლიდერთა მდგომარეობა შეიძლება არსებითად შეცვალოს.

ᲨᲐᲑᲐᲗᲘᲡ ᲓᲐ ᲙᲕᲘᲠᲐᲡ

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ. გაიმართა უმაღლესი ლიგის წყალბურთელთა საკავშირო ჩემპიონატის მორიგი მატჩები. თბილისის „დინამომ“ ორი შეხვედრა წააგო, შაბათს კიეველ თანაკლუბელებთან — 11:13, კვირას კი ცსკ ვმფ-თან — 6:13 (0:2, 1:3, 3:3, 2:5).

ამ ორი ტურის სხვა მატჩები ასე დამთავრდა: ცსკა ვმფ — უნივერსიტეტი (მოსკოვი) 8:6, „დინამო“ (მოსკოვი) — კჩფ (სევასტოპოლი) 15:8, „დინამო“ (ალმა-ათა) — „დინამო“ (ლვოვი) 12:11, კკფ (ბაქო)— „მოსკვიჩი“ 7:6, „ლოკომოტივი“ (ხარკოვი) — ასკ (მინსკი) 6:3, კჩფ (სევასტოპოლი) — „ლოკომოტივი“ (ხარკოვი) 7:7, ასკ (მინსკი) — „დინამო“ (ლვოვი) 6:13, „დინამო“ (კიევი) — „მოსკვიჩი“ 10:9, კკფ (ბაქო) — უნივერსიტეტი (მოსკოვი) 8:9, „დინამო“ (ალმა-ათა) — „დინამო“ (მოსკოვი) 7:12.

ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲘ ᲠᲔᲒᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ

ᲠᲔᲒᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ საკავშირო ჩემპიონატის XII ტურში ქუთაისის „შენებლისა“ და თბილისის „ელავლის“ წარმატება უკვე გაუწყეთ. ამ ტურის სხვა მატჩები ასე დამთავრდა: „ზვეზდა“ — „სლავა“ 3:10, „ავიატორი“ — ეტს 21:22, ასკ — სსა 9:12, ტირასპოლი — ლენინგრადი 3:3.

ᲒᲐᲗᲐᲛᲐᲨᲔᲑᲘᲡ ᲪᲮᲠᲘᲚᲘ

მდგომარეობა 14 ივნისისთვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ქ.
„შენებელი“	12	11	1	0	35 (— 1)
სსა (მონინო)	12	10	0	2	32 (— 4)
„ავიატ.“ (კ.)	12	8	0	4	28 (— 8)
„სლავა“ (მ.)	12	8	0	4	28 (— 8)
„ლოკომ.“ (მ.)	12	7	2	3	28 (— 8)
ეტს (კრასნ.)	12	6	1	5	25 (—11)
რრკ „ელმავ.“	12	6	1	5	25 (—11)
ასკ (ა.-ა.)	12	5	2	5	24 (—12)
„ელ.“ (ტირ.)	12	2	2	8	18 (—18)
„ზვეზ.“ (ტაშ)	12	2	0	10	16 (—20)
„ფილი“ (მ.)	11	1	0	10	13 (—20)
„ელ.“ (ლენ.)	11	0	1	10	12 (—21)

მორიგი ორი ტურის შეხვედრებს საქართველოს გუნდები მოსკოვსა და მონინოში გამართავენ. მატჩების განრიგი ასეთია: 14.VI. „სლავა“ — რრკ, 15. VI. სსკ — „შენებელი“, 17.VI. სსა — რრკ, 18.VI. „სლავა“ — „შენებელი“.

„ᲗᲝᲗᲠᲘ ᲔᲢᲚᲘ“ — ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲔᲚᲔᲑᲡ

ᲑᲠᲝᲜᲜᲘ (ტელეფონით, „ლელოს“ სპეც. კორ.). ბელორუსიის ამ ქალაქში დამთავრდა მოსწავლეთა საკავშირო გუნდური პირველობა — „თეთრი ეტლის პრიზის“ გათამაშება.

შესანიშნავად იასპარეზეს ჩვენი რესპუბლიკის მოჭადრაკე-პიონერებმა — ქუთაისის მე-15 საშუალო სკოლის მოსწავლეებმა, რომლებმაც 16,5 ქულით I ადგილი მოიპოვეს. 15 ქულით II ადგილზე გავიდა ლენინგრადის ნაკრები გუნდი, მესამეზე — უკრაინის გუნდი — 14,5.

ᲗᲔᲜᲒᲘᲖ ᲮᲐᲠᲚᲐᲛᲘᲓᲘ,
საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი.

ᲒᲐᲘᲮᲡᲜᲐ ᲯᲐᲜᲛᲠᲗᲔᲚᲝᲒᲘᲡ ᲡᲞᲐᲠᲢᲐᲙᲘᲐᲓᲐ

ᲒᲣᲨᲘᲜ თბილისის სპორტის სასახლეში საზეიმოდ გაიხსნა კულტურის მუშაკთა პროფკავშირების თბილისის ფიზკულტურული და სპორტული ორგანიზაციების ჯანმრთელობის სპარტაკიადა. ასპარეზობა, რომლის პროგრამაში შედის სპორტის მასობრივი სახეობები, მინიფეხბურთელთა შეჯიბრებით დაიწყო.

II ᲚᲘᲒᲐ

გაიმართა II ლიგის IX ზონის ფეხბურთელთა საკავშირო ჩემპიონატის VIII ტურის მატჩები: „სოკოლი“ (სარატოვი) — „ქიაფაზი“ (კიროვაბადი) 3:2, „ტორპედო“ (ქუთაისი) — „ლოკომოტივი“-ომკ (თბილისი) 2:0, „დილა“ (გორი) — „მეტალურგი“ (რუსთავი) 2:4, „შევარდენი“-სპი (თბილისი) — „ატომმაში“ (ვოლგოდონსკი) 4:2, „ხაზარი“ (სუმგაითი) — „თერგი“ (გროზნო) 3:2, „ბაკინეცი“ (ბაქო) — „დინამო“ (მახაჩყალა) 0:2.

II ლიგის საკავშირო ჩემპიონატის III ზონის XI ტურის მატჩები ჩვენი რესპუბლიკის გუნდების მონაწილეობით ასე დამთავრდა: „კოლხეთი“ (ფოთი) — „ლორი“ (კიროვაკანი) 3:2, „ოლიმპია“ (ლენინაკანი) — „მერცხალი“ (მახარაძე) 3:2.

ᲕᲔᲚᲝᲡᲞᲝᲠᲢᲘᲡ ᲙᲕᲘᲠᲔᲣᲚᲘ ᲐᲭᲐᲠᲐᲨᲘ

ამ ღონისძიების მასობრიობა, უპირველეს ყოვლისა, ზღვისპირა და პიონერთა და მოსწავლეთა პარკებში იგრძნობოდა. ასობით ბათუმელი — დიდი თუ პატარა, ბევრიც მთელი ოჯახით ველოსიპედზე „ამხედრებულიყო“. კვირეულის დღეებში ქალაქის ქუჩებში უჩვეულოდ მომრავლდა ეს ტრანსპორტი.

ბათუმს ბავშვთა ავტოდრომის „ტრასაზე“ მოეწყო ნორჩ ველოსიპედისტთა შეჯიბრება. მთელი რიგი სამრეწველო საწარმოების მოსამსახურეებმა ველოსიპედით „დალაშქრეს“ საკურორტო ადგილები. ქობულეთში კი ადგილობრივმა სპორტსმენებმა საჩვენებელი შეჯიბრებები გამართეს.

ᲚᲔᲕᲐᲜ ᲯᲐᲕᲗᲐᲠᲐᲫᲔ.
„ᲚᲔᲚᲝᲡ“ სპ. კორ.
ბათუმი.

ᲛᲔᲓᲚᲔᲑᲘ — ᲗᲐᲜᲐᲑᲠᲐᲓ

ᲛᲝᲙᲐᲠᲘᲝᲕᲘᲗᲐ ლენინგრადის საერთაშორისო ტურნირის ორთაბრძოლებს საბჭოთა და კუბელი სპორტსმენები აძლევდნენ ტონს. ფინალურ შეხვედრებშიც მათ ისახელეს თავი და თანაბრად გაიყვეს ოქროს მედლები.

აღსანიშნავია, რომ დასკვნით დღეს „ოქროსმაძიებელთა“ შორის იყო მჩატე წონის (54 კგ) თბილისელი მოკრივე ალბერტ კაზანჯიანი, რომელსაც მასპინძელი ალექსანდრე არტემიევი ეცილებოდა უმაღლეს ჯილდოს. მათი ორთაბრძოლა ლენინგრადელის გამარჯვებით აღინიშნა. ა. კაზანჯიანის უმცროსმა ძმამ რუდიკმა კი ნახევარფინალამდე გაიკაფა გზა და ამ ეტაპზე იგი ერევანელმა ნ. შუნჩიანმა შეაჩერა.

ფინალური შეხვედრების შედეგად გამარჯვებულის კვარცხლბეკზე დადგნენ: ელექტროსტალელი ა. მახმუტოვი, კიშინიოველი ტ. სკრიაბინი, ლენინგრადელი ა. არტემიევი, ლენინაკანელი გ. დაზარიანი, კუბელები ხ. გონსალესი, ხ. ერნანდესი, ხ. ლემუსი, ხოსე-ლუის ერნანდესი, ა. ესპინოზა, გროზნოელი შ. შანავაზოვი, ფ. სავონი და სვერდლოვსკელი ა. პრიანიჩნიკოვი.

ᲕᲔᲚᲝᲡᲞᲝᲠᲢᲘᲡ ᲙᲕᲘᲠᲔᲣᲚᲘ ᲐᲭᲐᲠᲐᲨᲘ

ᲡᲔᲕᲐᲡᲢᲝ�პᲝᲚᲘ. აფროსანთა აქ შემდინარე საკავშირო ჩემპიონატის ბოლო, მეშვიდე რბოლის წინ ოქროს მედლები გაინაწილეს „შფრონავი ჰოლანდიელის“ კლასში სერგეი ბორიდინოვმა (მოსკოვი) და ვიქტორ ბუდანცევმა (მინსკი), „ტორნადოში“ კი იური კონოვალოვმა (ტოლიატი) და სერგეი კრავცოვმა (მინსკი). საინტერესოა აღინიშნოს, რომ ორივე ეკიპაჟმა ექვსი რბოლა უსაჯარიმო ქულებით დაამთავრა (ექვსივეჯერ ფინიშთან პირველები მოვიდნენ). ასეთი შედეგი საკავშირო ჩემპიონატებში ჯერ აღნიშნული არ ყოფილა.

ᲑᲘᲠᲕᲘᲜᲘᲐᲜᲘ. საერთაშორისო ველორბოლა ბრიტანეთის გზებზე ხარკოველმა ვასილი ედანოვმა მოიგო. 1150 მილი მან 47 საათში, 37 წუთსა და 18 წამში დაფარა.

ᲚᲔᲜᲘᲜᲒᲠᲐᲓᲘ. ძმები ზნამენსკების მემორიალზე მოსკოველმა გალინა ჩისტიაკოვამ სიგრძეზე ხტომაში ახალი მსოფლიო რეკორდი დაამყარა — 752 სმ. მან ჰაიკე დრექსლერის (გდრ) ძველ მიღწევას 7 სანტიმეტრი გადააჭარბა. შეჯიბრების მთავარი პრიზები კი საბჭოთა მძლეოსნებმა მიხეილ დანკომ და მოსკოველმა იგორ ლოტორევამ დაისაკუთრეს. პირველმა 5 კილომეტრზე რბენა მოიგო — 13.28,60, მეორემ — 1500 მეტრიანი დისტანცია — 3.40,95.

ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲨᲔ

ᲒᲐᲓᲐᲪᲔᲚᲘᲚᲘ თბილისელი ალპინისტები ფეხბურთელი, ტენორი, ფეხბურთელი, სპორტის ოსტატი, სკკპ წევრი 1957 წლიდან ნიკოლოზ (კუკური) შოის ძე გოგლიძე.

დაიბადა 1928 წელს ონის რაიონის სოფელ ქორთაში. ფეხბურთს თბილისის უძველეს რაიონში — ნაძალადევში ეზიარა, „შრომითი რეზერვების“ სექციაში.

კ. გოგლიძის საზრიანმა თამაშმა მწვრთნელთა ყურადღება მიიპყრო, იგი ჯერ „ლოკომოტივში“ მიიწვიეს, შემდეგ — თბილისის ოფიცერთა სახლისა და „სპარტაკის“ გუნდებში, 1951 წელს კი „დინამოში“ ჩაირიცხა. ჩვენმა გუნდმა იმ წელს ვერცხლის მედლები მოიპოვა საკავშირო ჩემპიონატში.

კ. გოგლიძეს ცენტრალური მცველის პოსტზე თვით ნიაზ ძიაშიპას შეცვლა მოუხდა, რაც დიდ პასუხისმგებლობას აკისრებდა ახალგაზრდა ფეხბურთელს. მან კარგად გაართვა თავი ძნელ ამოცანას და ღირსეულად ატარა დინამოელის მაისური. 1956 წლამდე დაჰყო „დინამოში“. 1951-1953 წლებში იყო ქვეყნის ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორი, გუნდთან ერთად წარმატებით გამოდიოდა პოლონეთის, უნგრეთის, რუმინეთისა და ინდოეთის სტადიონებზე.

1956 წელს კ. გოგლიძე სათავეში ჩაუდგა თბილისის „ლოკომოტივს“, რომელმაც რესპუბლიკის ჩემპიონობა და თასი მოიპოვა. იგივე წარმატებას მიაღწია მისი ხელმძღვანელობით მახარაძის „კოლმეურნემ“ 1957 წელს.

გულისხმიერი მეგობრის ნათელი ხსოვნა მუდამ დარჩება ჩვენს გულებში.

ᲡᲞᲝᲠᲢᲘᲡ ᲕᲔᲢᲔᲠᲐᲜᲗᲐ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲣᲠᲘ ᲡᲐᲑᲭᲝ, ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ „ᲓᲘᲜᲐᲛᲝᲡ“ ᲕᲔᲢᲔᲠᲐᲜᲘ ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲔᲚᲔᲑᲘ.

„ᲡᲞᲝᲠᲢᲚᲝᲢᲝ“

ᲒᲣᲨᲘᲜᲬᲘᲜ მოსკოვში შედგა „სპორტლოტოს“ მორიგი, 24-ე ტირაჟები.

„სპორტლოტო 6 45“-იდან: 7 (კლასიკური ჰიდაობა), 19 (სათხილამურო რბოლები), 22 (წყალში ხტომა), 26 (თანამედროვე ხუთჭიდი), 28 (ტყვიის სროლა), 34 (ბალახის ჰოკეი).

„სპორტლოტო 5 36“-იდან: 9 (საგზატკეცილო ველორბოლა), 19 (სათხილამურო რბოლები), 28 (ტყვიის სროლა), 30 (ძალოსნობა), 32 (ფიგურული ციგურაობა).

ᲪᲘᲡᲤᲔᲠ ᲔᲙᲠᲐᲜᲖᲔ

ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲢᲔᲚᲔᲕᲘᲖᲘᲐ. 14 ივნისი. დილის ტანვარჯიში — **9.00 (2);** ევროპის ჩემპიონატი ფეხბურთში: გფრ (ნაკრები) — დანია (ნაკრები) — **20.10 (2)** და იტალია (ნაკრები) — ესპანეთი (ნაკრები) — **23.10 (1).**

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲢᲔᲚᲔᲕᲘᲖᲘᲐ. 14 ივნისი. ევროპის ჩემპიონატი ფეხბურთში: იტალია (ნაკრები) — ესპანეთი (ნაკრები) — **23.10.**

ᲤᲘᲜᲐᲚᲘ ᲰᲝᲚᲐᲜᲓᲘᲔᲚᲔᲑᲗᲐᲜ

ᲚᲘᲡᲑᲝᲜᲘ. დევისის თასის გათამაშების პირველი დღის შემდეგ საბჭოთა კავშირის ჩოგბურთელთა ნაკრები პორტუგალიის გუნდს უგებდა ანგარიშით 2:0. ჩვენმა ლიდერმა ანდრეი ჩესნოკოვმა ნუნუ მარკიში დაამარცხა — 6:3, 7:5, 6:2, ალექსანდრე ვოლკოვმა კი ჟუან კუნია სილვა — 3:6, 6:3, 6:3, 6:3. საბჭოთა ჩოგბურთელებმა მომდევნო ორი დღის შეხვედრებიც წარმატებით ჩაატარეს და გაიმარჯვეს ანგარიშით 5:0.

ევროპის „ა“ ჯგუფში დარჩა ფინალური მატჩი, საბჭოთა ჩოგბურთელები ამჯერად ჰოლანდიელებს უმასპინძლებენ. ეს ორთაბრძოლა გაიმართება 22-24 ივლისს იურმალაში.

ᲒᲐᲘᲛᲐᲠᲯᲕᲐ „ᲑᲝᲡᲢᲝᲜ ᲡᲔᲚᲢᲘᲥᲡᲐ“

ნბა-ს ჩემპიონატის ნახევარფინალური მატჩები კვლავინდებურად უკომპრომისო ბრძოლაში მიმდინარეობს.

„ლეიკერსმა“ ლოს-ანჯელესში ორივე მატჩი მოუგო „დალას მავერიკსს“ 113:98 და 123:101, ხოლო დალასში ორივე მატჩი წააგო — 94:106 და 104:113. სერიის ანგარიში საყაიმოა — 2:2.

აი, მეორე ნახევარფინალური წყვილის — „ბოსტონ სელტიქსის“ და „დეტროიტ პისტონსის“ პაექრობა კი მოულოდნელობით დაიწყო. დეტროიტმა თომასის (34 ქულა) ბრწყინვალე თამაშის წყალობით ბოსტონში დაამარცხა „ბოსტონ სელტიქსი“ — 104:96. განმეორებით მატჩში მასპინძლებმა შეძლეს რევანშის აღება — 119:115. ასევე თითო გამარჯვება მოიპოვეს მეტოქეებმა დეტროიტში. ჯონ დუმარსის (29 ქულა) შედეგიანი სროლების წყალობით შესამე მატჩი დეტროიტმა მოიგო — 98:94.

დამარცხებულთა გუნდში ყველაზე შედეგიანი იყო კევინ მაკჰეილი (32 ქულა). მეოთხე მატჩში გაიმარჯვა „ბოსტონ სელტიქსმა“ — 79:78 და სერიის ანგარიში გათანაბრდა — 2:2.

გადამწყვეტ შეხვედრაში „ბოსტონ სელტიქსმა“ დაამარცხა მეტოქე — 121:110.



ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲐ

ᲙᲣᲐᲚᲐ-ᲚᲣᲛᲞᲣᲠᲘ. ოლიმპიური საგუნურის მოსაპოვებლად გამართული ფინალური ტურნირის პირველ მატჩში საბჭოთა კალათბურთელმა ქალებმა დაამარცხეს პოლონელები — 97:44 (47:23). ავსტრალიელებმა მოუგეს იტალიელებს — 62:57.

„ᲚᲔᲚᲝᲡ“ ᲨᲔᲛᲓᲔᲑᲘ ᲜᲝᲛᲔᲠᲘ ᲒᲐᲛᲝᲛᲪᲐ ᲮᲣᲗᲨᲐᲑᲐᲗᲡ, 16 ᲘᲕᲜᲘᲡᲡ.

ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘ
თ. ᲒᲐᲩᲔᲩᲘᲚᲐᲫᲔ.

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ:
წერილებისთვის — 380096
თბილისი, ლენინის ქ. 14.
დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“,

ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲔᲑᲘ:
წერილების განყოფილება — 93-97-55,
სამდივნო — 93-97-52,
ინფორმაციის განყოფილება — 93-97-53,
„შერანი“ — 93-97-26, „მართვე“ — 93-97-27.

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲘᲜᲓᲔᲥᲡᲘ
66435

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში: ბოშარიულის, 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 უე 10782